თავი II

2015 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

2015 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში - 3.3%, მეორე კვარტალში - 2.5%, მესამე კვარტალში - 2.5%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 2.9%. 2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 31 692 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 8.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 8 498 ლარი (3 743 აშშ დოლარი) შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა

2015 წლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (15.2%), საფინანსო საქმიანობა (9.4%), სასტუმროები და რესტორნები (7.4%), ოპერაციები უძრავი ქონებით (6.9%), კავშირგაბმულობა (5.0%), ტრანსპორტი (2.9%).

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2015 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. 2015 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა გაიზარდა 14.6 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 12.8 პროცენტით. გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 52 ათასი ადამიანით.

ფასები

საქართველოს მონეტარული პოლიტიკა მისდევს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას და მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 2015 წლისათვის 5 პროცენტით განისაზღვრა. 2015 წელს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 4.0 პროცენტი შეადგენა. ხოლო 2015 წლის მშპ-ის დეფლატორის მაჩვენებელი 5.8 პროცენტს შეადგენს. 2015 წლის დეკემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ 4.9 პროცენტი შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსი

2015 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 21.5 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ ძლიერი დოლარით, ხოლო მეორე მხრივ რუსეთში და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისით. აღნიშნულ პერიოდში ლარი ევროსთანაც გაუფასურდა 12.5 პროცენტით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან - გაუფასურდა 0.5 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა

2015 წელს, წინა წელთან შედარებით საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 23 პროცენტით, ხოლო იმპორტი 10 პროცენტით შემცირდა.

სავაჭრო ბალანსმა გაურესება 2014 წლის მეოთხე კვარტალში, 2015 წლის პირველ კვარტალში სავაჭრო ბალანსი ასევე გაურესებული იყო 2014 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ხოლო მეორე კვარტლიდან სავაჭრო ბალანსმა გაუმჯობესება დაიწყო და 2015 წლის ბოლოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 521 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იმპორტში აღრიცხულია C-ჰეპატიტის წამლების ღირებულება, რომელიც 449.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. წამლების ღირებულების გაუთვალისწინებლად, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი წინა წელთან შედარებით შესაბამისად 12 პროცენტით ნაკლებია.

საგარეო ვაჭრობის მონაცემები 2014-2015 წლებში

მლნ აშშ დოლარი

	2014 წელი					2015 წელი					% ცვლილება				
	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
ექსპორტი	**2,861**	696	724	734	708	**2,204**	503	579	563	559	**-23%**	-28%	-20%	-23%	-21%
იმპორტი	**8,593**	1,835	2,195	2,195	2,369	**7,728**	1,795	1,865	2,019	2,048	**-10%**	-2%	-15%	-8%	-14%
სავაჭრო ბრუნვა	**11,454**	2,530	2,918	2,929	3,077	**9,932**	2,298	2,444	2,582	2,607	**-13%**	-9%	-16%	-12%	-15%
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი	**(5,733)**	(1,139)	(1,471)	(1,462)	(1,661)	**(5,524)**	(1,292)	(1,286)	(1,457)	(1,489)	**-4%**	13%	-13%	0%	-10%

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 646 მლნ. აშშ დოლარი იყო (4% მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ. აშშ დოლარი (6% მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 22 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 43 პროცენტით, ხოლო იმპორტი 7 პროცენტით შემცირდა.

2015 წელს, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებიდან პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა და მთლიანი ექსპორტის 12.3 პროცენტი შეადგინა. შემდეგ მოდიან ფეროშენადნობები 8.8%, მსუბუქი ავტომობილები 8.2%, თხილი და კაკალი 8.0%, სამკურნალო საშუალებები 6.4% და ა.შ.

ექსპორტის სტრუქტურაში ქვეყნების მიხედვით, აზერბაიჯანს ყველაზე დიდი 11 პროცენტიანი წილი აქვს. შემდეგ მოდიან ბულგარეთი 9.7%, თურქეთი 8.4%, სომხეთი 8.2%, რუსეთი 7.4% და ა.შ.

სახელმწიფო ვალი

მთავრობის ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2015 წელს მშპ-ს 41.5 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 32.6, ხოლო საშინაო ვალი 8.9 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი, სახელმწიფო ვალის კანონმდებლობით განსაზღვრული დასაშვებ ნორმასთან შედარებით (60%) დაბალია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 23 პროცენტით შემცირდა და 1 351 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნებიდან 38 პროცენტით შემცირდა, ხოლო დსთ-ის ქვეყნებიდან 30 პროცენტით გაიზარდა. ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო ლიდერობს. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის და საფინანსო სექტორებში განხორციელდა, შესაბამისად 594 მლნ აშშ დოლარი და 191 მლნ აშშ დოლარი.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 853 920.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 963 172.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 980 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 010 855.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 238 920.0 თასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 318 787.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 133.4%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 635 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 633 529.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99.8%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 355 073.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (355 000.0 ათასი ლარი) 100.0%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 59 064.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (86 000.0 ათასი ლარი) 68.7%-ია.

2015 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	**ნაერთი ბიუჯეტი**			
	2015 წლის გეგმა	**2015 წლის ფაქტი**	**+/-**	**%**
შემოსავლები	**8,853,920.0**	**8,963,172.4**	**109,252.4**	**101.2**
გადასახადები	**7,980,000.0**	**8,010,855.6**	**30,855.6**	**100.4**
საშემოსავლო გადასახადი	2,233,000.0	2,223,220.6	-9,779.4	99.6
მოგების გადასახადი	1,004,000.0	1,025,228.4	21,228.4	102.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,525,000.0	3,505,454.6	-19,545.4	99.4
აქციზი	860,000.0	870,731.8	10,731.8	101.2
იმპორტის გადასახადი	68,000.0	69,294.0	1,294.0	101.9
ქონების გადასახადი	265,000.0	290,096.0	25,096.0	109.5
სხვა გადასახადი	25,000.0	26,830.2	1,830.2	107.3
გრანტები	**238,920.0**	**318,787.7**	**79,867.7**	**133.4**
სხვა შემოსავლები	**635,000.0**	**633,529.2**	**-1,470.8**	**99.8**

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 048 920.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 170 499.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.5%.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**8,048,920.0**	**8,170,499.3**	**121,579.3**	**101.5**
გადასახადები	7,520,000.0	7,549,608.9	29,608.9	100.4
გრანტები	238,920.0	315,593.2	76,673.2	132.1
სხვა შემოსავლები	290,000.0	305,297.2	15,297.2	105.3

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 520 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 549 608.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 052 388.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 038 000.0 ათასი ლარი) 100.7%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 025 228.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 004 000.0 ათასი ლარი) 102.1%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 505 454.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 525 000.0 ათასი ლარი) 99.4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 870 731.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (860 000.0 ათასი ლარი) 101.2%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 69 294.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68 000.0 ათასი ლარი) 101.9%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 26 511.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 000.0 ათასი ლარი) 106.0%-ია.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**7,520,000.0**	**7,549,608.9**	**29,608.9**	**100.4**
საშემოსავლო გადასახადი	2,038,000.0	2,052,388.5	14,388.5	100.7
მოგების გადასახადი	1,004,000.0	1,025,228.4	21,228.4	102.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,525,000.0	3,505,454.6	-19,545.4	99.4
აქციზი	860,000.0	870,731.8	10,731.8	101.2
იმპორტის გადასახადი	68,000.0	69,294.0	1,294.0	101.9
სხვა გადასახადი	25,000.0	26,511.6	1,511.6	106.0

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 238 920.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 315 593.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 132.1%.

ათასი ლარი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**315,593.2**
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	**127,746.9**
საინვესტიციო გრანტები	**134,358.4**
SDC	42.5
GEF	65.2
EC	24,295.0
SIDA	390.1
ORET	21.5
CNF	807.4
IFAD	54.9
KfW	20,113.1
MCC	29,421.3
USAID	59,147.4
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	**53,487.9**

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 290 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 305 297.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.3%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 69 550.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (63 700.0 ათასი ლარი) 109.2%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 46 856.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44 200.0 ათასი ლარი) 106.0%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 415.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500.0 ათასი ლარი) 83.1%-ს შეადგენს.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 22 278.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19 000.0 ათასი ლარი) 117.3%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 76 297.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (74 950.0 ათასი ლარი) 101.8%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 71 908.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 800.0 ათასი ლარი) 101.6%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 622.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (700.0 ათასი ლარი) 88.9%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 49 414.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 000.0 ათასი ლარი) 98.8%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 653.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 400.0 ათასი ლარი) 118.1%-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 16 617.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 000.0 ათასი ლარი) 110.8%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 2 206.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 300.0 ათასი ლარი) 95.9%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 973.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 000.0 ათასი ლარი) 97.3%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 420.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400.0 ათასი ლარი) 105.2%-ია.

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 4 388.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 150.0 ათასი ლარი) 105.7%-ია. მათ შორის:
  - საქონლის რეალიზაციიდან - 165.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150.0 ათასი ლარი) 110.3%-ია;
  - მომსახურების გაწევიდან - 4 154.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 103.8%-ია;
  - სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან 69.0 ათასი ლარი.

- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 63 501.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68 000.0 ათასი ლარი) 93.4%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 25 533.9 ათასი ლარი.

- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 70 414.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (81 050.0 ათასი ლარი) 86.9%-ია, მათ შორის გზათსარგებლობის საფასურით მიღებული შემოსავალი შეადგენს 47 293.2 ათას ლარს, ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 15 136.5 ათას ლარს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**290,000.0**	**305,297.2**	**15,297.2**	**105.3**
შემოსავლები საკუთრებიდან	**63,700.0**	**69,550.2**	**5,850.2**	**109.2**
პროცენტები	44,200.0	46,856.2	2,656.2	106.0
დივიდენდები	500.0	415.5	-84.5	83.1
რენტა	19,000.0	22,278.5	3,278.5	117.3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**74,950.0**	**76,297.0**	**1,347.0**	**101.8**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	**70,800.0**	**71,908.6**	**1,108.6**	**101.6**
სალიცენზიო მოსარებლები	700.0	622.5	-77.5	88.9
სანებართვო მოსარებლები	50,000.0	49,414.8	-585.2	98.8
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1,400.0	1,653.4	253.4	118.1
სახელმწიფო ბაჟი	15,000.0	16,617.4	1,617.4	110.8
საკონსულო მოსაკრებელი	2,300.0	2,206.7	-93.3	95.9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,000.0	973.1	-26.9	97.3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	400.0	420.9	20.9	105.2
არასაბაზრო წესით გაყინული საქონელი და მომსახურება	**4,150.0**	**4,388.4**	**238.4**	**105.7**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	150.0	165.4	15.4	110.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4,000.0	4,154.0	154.0	103.8

სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		69.0	69.0	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**68,000.0**	**63,501.4**	**-4,498.6**	**93.4**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	**2,300.0**	**25,533.9**	**23,233.9**	**1,110.2**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**81,050.0**	**70,414.7**	**-10,635.3**	**86.9**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 287 319.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (280 000.0 ათასი ლარი) 102.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 71 873.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (85 000.0 ათასი ლარი) 84.6%-ია.